

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 01-08-15/315-2018-2  
02-04.2018

ქ. თბილისი

„26“ \_\_\_02\_\_\_ 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში „უნივერსიტეტი“) და მეორეს მხრივ შპს „ელიტა ბურჯი“-ს სახით (შემდგომში „კომპანია“), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. უნივერსიტეტი ავალდებს, ხოლო კომპანია კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:

ა) კომპანიამ პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ერთი სემესტრის განმავლობაში პრაქტიკაზე გაგზავნილი საბაკალავრო (ან სამაგისტრო ან სადოქტორო) პროგრამის: მშენებლობა შიფრი 0406 (თუ სხვა პროგრამაა ჩაიწერება მისი დასახელება თავისი შიფრით) სტუდენტები 10...25 რაოდენობით;

ბ) კომპანიაში სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან შემდეგი თემატიკით: ასაწყობი და მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები.

გ) კომპანია პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;

დ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ კომპანია თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

## 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. კომპანია:

2.1.1. უწევს ამ ხელშეკრულების პ.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას კომპანიის ადგილსამყოფელის მიხედვით: ქ. თბილისი, ... *ქ. თბილისი, სსიპ უნივერსიტეტი 118ა* .....

2.1.2. კომპანია ვალდებულია, უზრუნველყოს უნივერსიტეტთან შეთანხმებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;

2.1.3. თუ შესრულებული სამუშაო არაა დამაკმაყოფილებელია, კომპანია ვალდებულია, აღმოფხვრას ნაკლი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება.

## 2.2. უნივერსიტეტი:

2.2.1. კომპანიას მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

## 3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება – სტუდენტთა პრაქტიკაზე გატარება წარმართება ანაზღაურების გარეშე.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. კომპანია იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხემოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

## 5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიმართავენ სასამართლოს.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები, რეკვიზიტები და ხელმოწერები

<p><u>კომპანია :</u></p> <p>შპს „ელიტა ბურჯი“</p> <p>ხელმოწერა: გიორგი როგავა</p>	<p><u>უნივერსიტეტი :</u></p> <p>სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი</p> <p>კოსტავას ქ. 77, ს/კ 211349192</p> <p>ხელმოწერა: ა. ფრანგიშვილი</p>
---	---

### ხელშეკრულების ვიზირების საკონტროლო ფურცელი

პასუხისმგებელი პირი	შესრულებული პროცედურები	შემოწმებულია (ხელმოწერა)	ხელმოწერის თარიღი
მთავარი იურისტი	ხელშეკრულება გამართულია ტექსტური და იურიდიული თვალსაზრისით და შეესაბამება დადგენილ ნორმებს.		
დირექტორი საინჟინრო მიმართულებით	ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაცია ასახავს მხარეთა ურთიერთ შეთანხმებას		04.02.2018

